გორის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს

განკარგულება № 27

2024 წლის 9 თებერვალი
ქ.გორი

გორის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტის სამსახურის 2023 წელს გაწეული საქმიანობის ანგარიშის შეფასების შესახებ

გორის მუნიციპალიტეტის საკრებულო, მის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულებაზე, მერიის საქმიანობაზე, თვითმმართველი ერთეულის ქონების მართვასა და თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის შესრულებაზე ახორციელებს კონტროლს. აღნიშნული კონტროლის განხორციელების ერთ-ერთ ფორმას წარმოადგენს ანგარიშის მოსმენა, რომელიც გაწერილია საკრებულოს სამუშაო გეგმებში. საკრებულოს სამუშაო გეგმის შესაბამისად საჭიროა მოსმენილ იქნას და შეფასდეს გორის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტის სამსახურის 2023 წელს გაწეული საქმიანობის ანგარიში.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 24-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „გ.ა“ ქვეპუნქტის და 61-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტების შესაბამისად:

1. დადებითად შეფასდეს გორის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტის სამსახურის 2023 წელს გაწეული საქმიანობის ანგარიში (დანართი თან ერთვის 15ფურცლად).

2. განკარგულება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.

3. განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია დაინტერესებული პირის მიერ მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის განმავლობაში სარჩელის წარდგენის გზით გორის რაიონულ სასამართლოში (მისამართი ქ. გორი, სერგო ჯორბენაძის ქ. №30).

საკრებულოს თავმჯდომარე **დავით რაზმაძე**

გორის მუნიციპალიტეტის მერია

შიდა აუდიტის სამსახურის

ანგარიში

2023 წლის საქმიანობის შესახებ

გორი

4 იანვარი 2024 წელი

1. **შესავალი - ანგარიშის შედგენის საფუძვლები და მიზნები.**

საფუძველი:

წინამდებარე ანგარიში შედგენილია „შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონის 24-ე მუხლის შესაბამისად და მოიცავს ინფორმაციას გორის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტის სამსახურის მიერ 2023 წლის განმავლობაში განხორციელებული საქმიანობის თაობაზე.

აუდიტის სამსახური თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 14 ნოემბრის #17 დადგენილებით დამტკიცებულ „გორის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტის სამსახურის დებულებით“ და სხვა სამართლებრივი აქტებით.

გორის მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურულ ერთეულებსა და მერიის მიერ დაფუძნებულ იურიდიულ პირებში სამსახურის მიერ საქმიანობა განხორციელდა მოცემული სფეროს მარეგულირებელი საკანონმდებლო, კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების და არსებული სტანდარტების შესაბამისად. იგი ეფუძნებოდა გორის მუნიციპალიტეტის მერის მიერ დამტკიცებულ შიდა აუდიტის სამსახურის 2023 წლის სამოქმედო გეგმას.

მიზანი:

გორის მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურული ერთეულების და მერიის მიერ დაფუძნებული იურიდიული პირების საქმიანობის ანალიზი, შეფასება, არსებული მართვისა და კონტროლის მექანიზმების ეკონომიურობის, ეფექტიანობის, მოქმედ სტანდარტებთან და საქართველოს კანონმდებლობასთან შესაბამისობის დადგენა, რისკების გამოვლენა და შეფასება, მათი პრევენციის/აღმოფხვრის მიზნით რეკომენდაციების შემუშავება; მონიტორინგის განხორციელება გაცემული რეკომენდაციების შესრულებაზე.

2. **მოკლე მიმოხილვა:**

„შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად შიდა აუდიტის ფუნქციაა ორი ძირითადი ტიპის საქმიანობის განხორციელება, მარწმუნებელი და საკონსულტაციო მომსახურება.

შიდა აუდიტის სამსახურის მიერ ზემოაღნიშნული მომსახურებისა და დებულებით გაწერილი მიზნების შესასრულებლად, შემუშავებული იქნა ვადებში გაწერილი და ფუნქციურად განაწილებული 2023 წლის სამოქმედო გეგმა.

საანგარიშო პერიოდში აუდიტის თითოეული ობიექტისთვის გამოვლინდა და შეფასდა შესაძლო რისკები.

ანალიზის საფუძველზე, გაცემული რეკომენდაციების შესაბამისად, მომზადდა რეკომენდაციების შესრულების სამოქმედო გეგმა. რეკომენდაციების შესრულებაზე მონიტორინგი განხორციელდა გეგმით გათვალისწინებულ ვადებში და მოქმედი ინსტრუქციის შესაბამისად.

3. **2023 წელს განხორციელებული ღონისძიებები**

საანგარიშო პერიოდში შიდა აუდიტი ჩატარდა შემდეგი ობიექტებში:

- ა(ა)იპ სასმელი წყლის სისტემების, წყალანირების, მელიორაციის ჭაბურღილებისა და სატუმბო სადგურების სამსახური;
- სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახური;
- სამხედრო აღრიცხვის, გაწვევისა და მობილიზაციის სამსახური;
- გორის მუნიციპალიტეტის მერიის, მეჯვრისხევის ტერიტორიული ერთეულის წარმომადგენლობა;
- ა(ა)იპ-კეთილმოწყობის სააგენტო;

- მერიაში დასაქმებულ თანამშრომელთა მონაცემების, „კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-13 მუხლის მოთხოვნასთან შესაბამისობა.

3.1 საშტატო და დროითი რესურსის გამოყენების ანალიზი

სამახური შედგება შიდა აუდიტის და მონიტორინგის განყოფილებისგან; საშტატო რიცხოვნობა შეადგენს რვა ერთეულს: სამსახურის უფროსი, უფროსის მოადგილე, ორი განყოფილების უფროსი და ოთხი უფროსი სპეციალისტი.

შიდა აუდიტის სამსახურის 2023 წლის სამოქმედო გეგმის მომზადებისას, გათვალისწინებული იქნა სამსახურის თანამშრომელთა რაოდენობა, დროითი რესურსების გონივრული გადანაწილების აუცილებლობა, შერჩეული აუდიტის ტიპების სირთულე და აუდიტის ობიექტების მრავალფეროვნება.

3.2 წლიური გეგმის შესრულების მდგომარეობა

2023 წლის წლიური სამუშაო გეგმით გათვალისწინებული ყველა საკითხი შესრულდა და შედგა შესაბამისი დოკუმენტი (ანგარიში), ობიექტებში აუდიტი განხორციელდა განსაზღვრულ ვადებში შიდა აუდიტორთა ეთიკის კოდექსისა და შიდა აუდიტის სტანდარტების შემდეგი პრინციპების დაცვით: დამოუკიდებლობა, ობიექტურობა, პროფესიონალიზმი, საჯაროობა, გამჭვირვალობა და კანონიერება.

3.3 სამსახურის მიერ გაწეული სხვა საქმიანობის ანალიზი

შიდა აუდიტის თანამშრომლების მიერ მერიის სამსახურებიდან და დაფუძნებულ იურიდიულ პირებისგან (ა(ა)იპ) დასმულ სხვა და სხვა საკითხებზე გაწეულია საკონსულტაციო საქმიანობა, მოხდენილია რეაგირება შემოსულ კორესპონდენციაზე, მოთხოვნიდან გამომდინარე გაცემულია შესაბამისი საჯარო ინფორმაცია. მერთან შეთანხმებით ჩატარდა არაგეგმიური შიდა აუდიტორული შემოწმება.

3.4 გამოვლენილი ძირითადი ხარვეზები და რისკები

- აუდირებული ობიექტებში ხშირ შემთხვევაში შემუშავებული არ აქვთ სტრატეგიული გეგმა, რომელშიც განსაზღვრული იქნება ორგანიზაციის მომავლის ხედვა, არ არის მკაფიოდ ჩამოყალიბებული მიზნები და ამოცანები. დაგეგმვისა და პრიორიტეტული მიმართულებების გაანალიზების გარეშე, იზრდება განსაზღვრული მისიის სრულყოფილად შესრულების რისკი;
- არ არის შემუშავებული დასაქმებულთათვის თითოეულ პოზიციაზე გაწერილი/ ჩამოყალიბებული ფუნქცია-მოვალეობები, რაც ხელს შეუშლის შესრულებული სამუშაოს სრულყოფილ და ობიექტურ შეფასებას.
- ა(ა)იპ-ებში კადრების დანიშვნა ძირითადად ხდება კონკურსის გარეშე. ნებისმიერ პოზიციაზე უკონკურსოდ, საკვალიფიკაციო მოთხოვნის გარეშე თანამშრომელთა დასაქმებამ, შეიძლება გამოიწვიოს არაკვალიფიციური კადრის მოზიდვა და ეჭვქვეშ დააყენოს მენეჯერის ობიექტურობა;
- ადამიანური რესურსის სათანადო მართვის უზრუნველყოფის მიზნით, მნიშვნელოვანია მენეჯმენტმა განსაზღვროს დაწესებულების საქმიანობისთვის საჭირო თანამშრომელთა

ოპტიმალური რაოდენობა. დასაქმებულთა რაოდენობის არასწორი განსაზღვრა იწვევს თანხების არაეფექტიან და არაპროდუქტიულ ხარჯვას.

- ობიექტების მხრიდან რიგ შემთხვევებში არ არის სრულყოფილად დაგეგმილი საბიუჯეტო გადასახდელების, მათ შორის „არაფინანსური აქტივების ზრდის“ მუხლი, აღნიშნული იწვევს წლის დასაწყისში დამტკიცებული ასიგნების ხშირ ცვლილებას, რაც მიუთითებს ორგანიზაციის მხრიდან არაეფექტურ დაგეგმვაზე;
- არ წარმოებს საწყობის (მარაგების) აღრიცხვის ჟურნალი, შედეგად არსებობს, რისკი, რომ ობიექტის კუთვნილი ქონების დაკარგვის ან/და დაზიანების შემთხვევები დარჩეს შეუმჩნეველი, შესაბამისი რეაგირების გარეშე.
- არ არის შემუშავებული ობიექტებში საწვავის აღრიცხვა/ჩამოწერის წესი, რაც ზრდის საწვავის არამიზნობრივი და არაეფექტური ხარჯვის რისკს;
- არასრულყოფილადაა შესრულებული „საქმისწარმოების ერთიანი წესები“-ით დამტკიცებული მოთხოვნები, მაქსიმალურად ოპერატიულად და დროულად თუ არ მოხდა კორესპონდენციაზე რეაგირება (ინფორმაციის მოძიება, პასუხის გაცემა, სტატისტიკური მონაცემების აღრიცხვა, საჯარო ინფორმაციის გაცემა და სხვა), ორგანიზაცია ვერ შეძლებს საქმიანობის სრულფასოვნად წარმართვას;
- არასწორადაა დაანგარიშებული მშენებლობის მოსაკრებლისთვის გადასახდელი თანხები, რაც მიუთითებს, რომ კონტროლის მექანიზმები სუსტია და დასახვეწი. მენეჯერული, ფინანსური და სხვა სახის კონტროლის მექანიზმების შეფერხება ქმნის სამსახურის/ორგანიცაზიის ფინანსურ და რეპუტაციულ რისკებს;
- არ არის შემუშავებული მონიტორინგზე გასვლის წლიური გეგმა/გრაფიკი ისე, რომ ორგანიზაციაში უწყვეტი მონიტორინგის პროცესი განხორციელდეს, რაც ხელს შეუწყობს სამსახურის გამართულ და ეფექტიან მუშაობას;
- არ არის ხელმძღვანელი პირის მიერ გადანაწილებული უფლება-მოვალეობები, თუ არ მოხდა გარკვეული უფლება-მოვალეობის გადანაწილება/დელეგირება (მოადგილესა და სამსახურის ხელმძღვანელებზე), ორგანიზაციის საქმიანობა ვერ იქნება ეფექტიანი და ვერ მიაღწევს დასახულ მიზანს.

3.5 აუდიტის შედეგად გაცემული ძირითადი რეკომენდაციები:

ა(ა)იპ სასმელი წყლის სისტემების, წყალანირების, მელიორაციის ჭაბურღილებისა და სატუმბო სადგურების სამსახური

- სააგენტომ უზრუნველყოს ცვლილება ორგანიზაციის წესდებაში. კერძოდ, იურიდიულ მისამართად მიეთითოს ფაქტობრივი მისამართი.
- შემოსულ კორესპოდენციაზე პასუხისმგებელი პირის მხრიდან დროულად/ვადის ფარგლებში იქნეს პასუხი გაცემული.
- შემუშავდეს სტრატეგიული გეგმა (სამ-ხუთ წელზე გათვლილი სტრატეგიული ხედვა), რომელიც სამსახურს საშუალებას მისცემს მოახდინოს რესურსების მობილიზება, ჩამოაყალიბოს პრიორიტეტები, შეიმუშაოს გრძელვადიანი პროგრამები.
- წლიური გეგმაში ყოველ საქმიანობისთვის გაიწეროს შესრულების ვადები, პასუხისმგებელი და მაკონტროლებელი სუბიექტები, შეფასების ინდიკატორები და მოსალოდნელი შედეგები. გადანაწილებული საქმიანობით კარგად გამოჩნდება მათი პასუხისმგებლობა, ჩართულობის დონე და მენეჯერს საშუალება მიეცემა გააკონტროლოს (ასევე შეაფასოს) თითოეული თანამშრომლის მიერ შესრულებული სამუშაო. ამასთან ერთად, კარგად გამოიკვეთება სხვადასხვა პოზიციაზე დასაქმებული თანამშრომლების მიერ შესრულებული სამუშაოს

მოცულობა და ხარისხი. მნიშვნელოვანია, პროექტებისთვის წინასწარ იქნას განსაზღვრული რისკები, რათა თავიდან იქნას აცილებული სამუშაო პროცესის შეფერხება;

- დასაქმებულთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულება შესაბამისობაში მოვიდეს საქართველოს შრომის კოდექსთან, კერძოდ: მიეთითოს შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძველი, გაიწეროს რეალური სამუშაო დრო (სამუშაო დღეები და საათები);
- სააგენტომ გორის მუნიციპალიტეტის მერიის შესაბამის სამსახურებთან ერთად შეიმუშაოს გრძელვადიანი სტრატეგია და მათ ხელთ არსებული რესურსების პირობებში, უმოკლეს ვადაში, მოახდინოს სასმელი წყლის სისტემების მომსახურებისთვის საჭირო ლიცენზიის მოპოვება (ლიცენზიებს გასცემს საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისია) და ლაბორატორიის მოწყობა ოფისის შენობაში შესაბამისი აღჭურვილობით და პირობებით;
- მთავრობის დადგენილებით დამტკიცებული „სასმელი წყლის ტექნიკური რეგლამენტის" შესახებ მოთხოვნის შესაბამისად მოახდინოს წყლის სინჯების აღება მისი ხარისხის დადგენის მიზნით, რათა უზრუნველყოს მოსახლეობის წყალმომარაგება ხარისხიანი, უსაფრთხო სასმელი წყლით;
- ლოკალური წყალსადენი სისტემები მაქსიმალურად აღიჭურვოს საქლორატორო დანადგარებით, რათა დაცული იქნას სასმელი წყლის ხარისხი;
- გორის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული წყალმომარაგება-წყალარინების სისტემები, რომელიც ირიცხება გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის საკუთრებაში, გადაეცეს ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის სასმელი წყლის სისტემების, წყალარინების, მელიორაციის ჭაბურღილებისა და სატუმბო სადგურების სამსახურს, რათა კანონით გათვალისწინებული პროცედურების შესაბამისად სამსახურმა შესაძლოს არსებულ სისტემების მოვლა/პატრონობა, ხოლო საჭიროების შემთხვევაში სარემონტო სამუშაოების ჩატარება;
- უზრუნველყოფილ იქნეს საკუთარ სახსრების ანგარიშზე რიცხული ნაშთის მაქსიმალურად ათვისება. დაისახოს გზები საკუთარი შემოსავლების გაზრდისთვის.
- ყველა იერარქიულ საფეხურზე მდგომმა ხელმძღვანელმა, თავისი კომპეტენციის ფარგლებში, მონაწილეობა მიიღოს ბიუჯეტის შედგენაში: უზრუნველყოს, რომ მიზნები შეესაბამებოდეს არსებულ ბიუჯეტს და რომ ეს მიზნები იყოს კონკრეტული, გაზომვადი, მიღწევადი და დროში გაწერილი. ხარჯთაღრიცხვის კორექტირებისას, ორგანიზაციის მენეჯმენტის მიერ მოხდეს წერილობით დასაბუთება, თუ რითაა გამოიწვეული ცვლილებების აუცილებლობა.
- აქტივებისა და ვალდებულებების აღრიცხვის, ანგარიშგებისთვის შიდა კონტროლის გაუმჯობესების მიზნით, ზედა მენეჯერული რგოლის მიერ შემუშავებული იქნეს წესები არაფინანსური და ფინანსური აქტივების შენახვის, ექსპლუატაციის წესების და პირობების დაცვის გასაუმჯობესებლად;
- ორგანიზაციის მიერ უსასყიდლოდ მიღებული ძირითადი საშუალებების შეფასება და შემოსავალში აღება მოხდეს რეალური ღირებულებიდან გამომდინარე.
- სააგენტოს მიერ მოწესრიგდეს სასაწყობო სივრცე, პასუხისმგებელმა პირმა მატერიალური მარაგების აღრიცხვის წიგნი აწარმოოს სრულყოფილი მონაცემების ასახვით. მოხდეს გამოუყენებელი (გამოუსადეგარი) ძირითადი საშუალებების და მცირეფასიანი ინვენტარის მოქმედი წესით ჩამოწერა, უზრუნველყონ არსებული წესით დასაწყობება და შემდგომ ჯართის სახით რეალიზაცია, ასევე შენობის სრულყოფილად დაცვა.
- სამსახურმა ფინანსური აღრიცხვის კუთხით შექმნას კონტროლის შესაბამისი მექანიზმი, მოახდინოს შედარება მომწოდებლებთან, შესრულებულ სამუშაოს/მომსახურებასა და ანგარიშსწორების შესაბამისობის დადგენის მიზნით.
- ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურში განაცემების ყოველთვიური დეკლარაცია წარდგენილი იქნას ვადებში და რეალური მონაცემებით. სახელფასო უწყისებით დარიცხული

და შემოსავლების სამსახურში წარდგენილი განაცემთა ყოველთვიური დეკლარაცია იყოს ურთიერთშესაბამისობაში.

- სამსახურის მიერ საწვავის ხარჯვა მოხდეს ბრძანებით დადგენილი ლიმიტის შესაბამისად.
- სააგენტოს მიერ შესაბამისი ბრძანება გამოცემულ იქნეს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 52-ე მუხლით განსაზღვრული წესის მიხედვით (კერძოდ: ბრძანების მე-2 მუხლს მიეცეს სწორი ფორმულირება).
- უზრუნველყონ საქართველოს შრომის კოდექსით (თავი V, მუხლი 24, პუნქტი 11) გათვალისწინებული მოთხოვნების შესრულება, ასევე საქ. ოკუპირებულ ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის მინისტრის 2021 წლის 12 თებერვლის ბრძანება # 01-15/ნ - „სამუშაო დროის აღრიცხვის ფორმის და წარმოების წესი"-თ აღრიცხვა. სამსახურის მენეჯმენტის მიერ შემუშავდეს სამუშაო დროის აღრიცხვის ფორმა - წერილობითი ან ელექტრონული ფორმით;
- სამსახურის სამუშაო სპეციფიკიდან გამომდინარე შემუშავდეს მონიტორინგზე გასვლების წლიური გეგმა/გრაფიკი ისე, რომ ორგანიზაციაში უწყვეტი მონიტორინგის პროცესი განხორციელდეს, რაც ხელს შეუწყობს სამსახურის გამართულ და ეფექტიან მუშაობას;
- ხელმძღვანელობის მიერ გაუმჯობესებული იქნეს ორგანიზაციაში დანერგილი შიდა კონტროლის მექანიზმი ისე, რომ სრულად უზრუნველყოს თაღლითობის, კორუფციის, შეცდომის, საჯარო რესურსების არარაციონალური გამოყენებისა და სხვა სახის დარღვევების პრევენცია. მოხდეს სამსახურის რისკების იდენტიფიცირება და მათი მართვის ღონისძიებების დაგეგმვა; განისაზღვროს რისკები და ჩართული იქნეს კონტროლის მექანიზმი, რათა გამოირიცხოს თანამშრომელთა მხრიდან სამუშოს არადროული და უხარისხო შესრულება;

სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახური

- სამსახურის დებულებაში შეტანილი იქნეს ცვლილებები. კერძოდ, კარგად ჩამოყალიბდეს სამსახურის მიზნები და ამოცანები, რისკების მართვის გეგმასთან, თანამშრომლებისთვის უწყვეტი პროფესიული განვითარების პროგრამის შემუშავებასა და დანერგვასთან დაკავშირებული საკითხები. დებულებაში გაიწეროს სამსახურის უფროსის მოადგილის ფუნქცია-მოვალეობები. ამასთან, ის ფუნქციები, რომელიც ძველი დებულებიდანაა დარჩენილი და სხვა სამსახურს აკისრია, ამოღებული იქნეს დებულებიდან;
- სამსახურის ყველა თანამშრომლის ფუნქცია-მოვალეობა შესაბამისობაში მოვიდეს დებულებასთან, ასევე განახლდეს სამუშაო აღწერილობები, სადაც გაიწერება შესასრულებელი ყველა ფუნქცია. გარდა ამისა, სამუშაო აღწერილობებში უნდა მიეთითოს მოქმედი სავალდებულო საკანონმდებლო აქტები, რომლითაც სამუშაო პროცესში იხელმძღვანელებენ;
- განისაზღვროს პროექტის/საქმიანობის შეფასების ინდიკატორები, შესაძლო რისკები და მონიტორინგის პერიოდულობა.
- სამსახურის მიერ, დებულებით განსაზღვრული პერიოდულობით, მოხდეს შესრულებული საქმიანობის ანგარიშის მომზადება. ანგარიშში კარგად უნდა გამოჩნდეს, სამსახურის მიერ საანგარიშო პერიოდში გაწეული სამუშაოს/საქმიანობის მოცულობა, შეფასდეს შესრულებული პროექტების მნიშვნელობა და ეფექტურობა, შეჩერებული და არშესრულებული (ჩავარდნილი) პროექტების შეფერხების/წარუმატებლობის მიზეზი. ანგარიშებში გამოჩნდეს თანამშრომლების მიერ გატარებული დამატებითი ღონისძიებები, რამაც ხელი შეუწყო დაგეგმილი პროექტების დროულად და ხარისხიანად შესრულებას. წარმატებული მაგალითები დაეხმარება სამსახურს

საქმიანობის ეფექტურად წარმართვაში. ასევე გამოაჩენს აქტიურ და მოტივირებულ თანამშრომლებს, რაც საფუძველი გახდება მათი წახალისებისთვის.

- დაინერგოს კონტროლი შესულ კორესპოდენციაზე. ვადის ფარგლებში მოხდეს მიღებულ წერილებზე რეაგირება. იმ შემთხვევაში, თუ ობიექტური მიზეზების გამო, ვერ ხდება ვადის დაცვა, გაგრძელდეს ვადა კანონის შესაბამისად, რათა არ დაირღვეს არსებული საქმიასწარმოების წესი.
- შემოსულ განცხადებაზე მიღებული ნებისმიერი გადაწყვეტილება ეცნობოს განმცხადებელს არგუმენტის მითითებით; წერილები დასრულებულად ჩაითვალოს წესის მიხედვით, განმცხადებლისთვის პასუხის გაგზავნის შემდეგ.
- სამსახურმა შესაბამის უწყებებთან კოორდინაციით მოახდინოს განსახორციელებელი სამუშაოების დაგეგმვა და შესაბამისი პროექტების შესყიდვა განახორციელოს გონივრულ ვადაში, რათა შეძენილი პროექტების გარკვეული პერიოდის განუხორციელებლობის შემთხვევაში არ გახდეს საჭირო დამატებითი სამუშაოს გაწევა (ხარჯთაღრიცხვებში ფასების კორექტირება და სხვა), დროულად მოახდინოს თანხების მიმართვა ინფრასტრუქტურული პროექტების განსახორიციელებლად. შეიმუშაოს ფინანსური რესურსების მართვის სტრატეგია, ამასთანავე ბიუჯეტის განწერისას შეიმუშაოს კონტროლის დამატებითი მექანიზმები, რაც უზრუნველყოფს ნაშთის დაგროვების პრევენციას. აღნიშნული ხელს შეუწყობს მუნიციპალური რესურსების ეფექტიან გამოყენებას და დაგეგმილი ინფრასტრუქტურული პროექტების ვადაში შესრულებას.
- ინფრასტრუქტურული სამუშაოები დაიგეგმოს ყველა იმ ფაქტორის გათვალისწინებით, რამაც შესაძლოა ხელი შეუშალოს პროექტის წარმატებით დასრულებას. კონკრეტული პროექტის დაგეგმვის დროს შესწავლილ უნდა იქნეს არსებული ფინანსური და მატერიალური რესურსები და აქედან გამომდინარე, განისაზღვროს რამდენად შესაძლებელია პროექტის განხორციელება და დასახული მიზნის მიღწევა. აღნიშნული ხელს შეუწყობს სამუშაოების დროულად დასრულებას, ობიექტების ექსპლოატაციაში მიღებას და მოსახლეობისთვის შესაბამისი სერვისების ხარისხიან და დროულ მიწოდებას. ამასთანავე, პრობლემების არსებობის შემთხვევაში შეისწავლოს გამოვლენილი გარემოებები და უზრუნველყონ ნაკლოვანების აღმოსაფხვრელად შესაბამისი ღონისძიებების გატარება.
- სამსახურმა დანერგოს დამატებითი კონტროლის მექანიზმები, რომელიც უზრუნველყოფს საპროექტო დოკუმენტაციაში არსებული ხარვეზების გამოვლენას არა მხოლოდ მშენებლობის დაწყებისას ან მიმდინარეობისას, არამედ პროექტის მიღება-ჩაბარების ეტაპზე. სამსახურმა დოკუმენტით ნათლად უნდა განისაზღვროს კონტროლის თითოეულ ეტაპზე ჩასატარებელი სამუშაოები და კონტროლის განმახორციელებელი პირები, მათი მოვალეობები და პასუხისმგებლობები. ამასთანავე, მნიშვნელოვანია, რომ ხელშეკრულების ვადების განსაზღვრისას გათვალისწინებული იყოს კონკრეტული პროექტის განხორციელებისას საჭირო პერიოდი, ხოლო ხელშეკრულებით დაკისრებული საჯარიმო სანქციები უნდა იყოს უხარისხოდ შესრულებული საპროექტო დოკუმენტაციის გამოყენების შედეგად მიღებული ზიანის ადეკვატური და არ მცირე უმნიშვნელო მოცულობითი. ასევე სამსახურმა უნდა შეისწავლოს პასუხისმგებელი პირები, რომლებმაც ჩაიბარეს უხარისხო საპროექტო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია და მათ მიმართ გატარდეს კანონით გათვალისწინებული ღონისძიებები.
- ინფრასტრუქტურული პროექტების დაგეგმვისას სამსახურმა უნდა გაითვალისწინოს ყველა ის გარემოება, რამაც შეიძლება ხელი შეუშალოს პროექტების წარმატებით დასრულებას. სამუშაოების განხორციელების პროცესში სამსახურის მხრიდან მოხდეს ეფექტური კონტროლი მიმდინარე სამუშაოებზე, რათა დროულად მოხდეს ხარვეზების და დაზიანების გამოვლენა და აღმოფხვრა.

- აღნიშნული ხელს შეუწყობს კონტროლის მექანიზმების გამართულ ფუნქციონირებას, პროექტის შემოწმებისათვის საჭირო ყველა პროცედურის სათანადოდ წარმართვას და ხარისხიანი პროექტების ჩაბარებას.
- სამსახურმა უზრუნველყოს გორის მუნიციპალიტეტის სამართლებრივი აქტების, სამსახურის საქმიანობიდან გამომდინარე საქართველოში მოქმედი კანონმდებლობისა და მათში შესული ცვლილებების დროული გაცნობა, ასევე სამსახურის შიდა კონტროლის მექანიზმის გაუმჯობესება, რაც ხელს შეუწყობს სამსახურის ეფექტურ მუშაობას და მნიშვნელოვნად შეამცირებს ფინანსურ ასევე სამართლებრივი გადაცდომის რისკებს.
- სამსახურმა გაატაროს ქმედითი ღონისძიებები არასწორად დაანგარიშებული მშენებლობის მოსაკრებლის მუნიციპალიტეტის მერიის ბიუჯეტში სრულად და დროულად ჩასარიცხად.
- სამსახურის მიერ შემუშავდეს შესამოწმებელი მიმართულებების გეგმა/გრაფიკი. ისე, რომ ორგანიზაციაში განხორციელდეს უწყვეტი მონიტორინგის პროცესი, რაც ხელს შეუწყობს სამსახურის გამართულ და ეფექტიან მუშაობას;
- მოხდეს სამსახურის რისკების იდენტიფიცირება და მათი მართვის ღონისძიებების დაგეგმვა; განსაზღვრონ რისკები და გააუმჯობესონ კონტროლის ბერკეტები, რათა გამოირიცხოს თანამშრომლების მხრიდან გადაცდომები.
- ხელმძღვანელობის მიერ გაუმჯობესებული იქნეს სამსახურში დანერგილი შიდა კონტროლის მექანიზმი ისე, რომ უზრუნველყოს თაღლითობის, კორუფციის, შეცდომის, საჯარო რესურსების არარაციონალური გამოყენებისა და სხვა სახის დარღვევების პრევენცია.

სამხედრო აღრიცხვის, გაწვევის და მობილიზაციის სამსახური

- სამსახურმა დებულების ცვლილებასთან დაკავშირებით გაატაროს შესაბამისი ღონისძიება და ის პუნქტები, რომელთა მიხედვით განსახორციელებელი სამუშაოები კანონმდებლობის ცვლილების გამო სამსახურის ფუნქციებში აღარ შედის ამოღებული იქნას დებულებიდან;
- სამსახურის მიერ მომზადებულ ანგარიშში კარგად გამოჩნდეს საანგარიშო პერიოდში გაწეული სამუშაოს მოცულობა, შეფასდეს შესრულებული საქმიანობის მნიშვნელობა, შეფერხების (ვერ შესრულების) მიზეზი, ასევე გამოიკვეთოს თანამშრომლების მიერ გატარებული დამატებითი ღონისძიებები, რაც ხელს შეუწყობს დაგეგმილი აქტივობის დროულად და ხარისხიანად შესრულებას.
- სამსახურმა დაგეგმოს და უზრუნველყოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში წვევამდელებთან შეხვედრები, სადაც ნათლად იქნება ახსნილი წვევამდელთა შესაბამის სამხედრო აღრიცხვის დაწესებულებაში გამოცხადებისა და პირველად სამხედრო აღრიცხვაზე აყვანის აუცილებლობა. ჩატარდეს პატრიოტულ-აღმზრდელობითი მუშაობა და გააცნონ შესაბამისი კანონმდებლობა. გამოყენებული იქნეს ყველა სახის მასობრივი და სხვა საინფორმაციო საშუალებები.
- გატარდეს ქმედითი ღონისძიებები წვევამდელთა სამხედრო დაწესებულებაში გამოცხადების გაზრდის კუთხით.
- მონიტორინგის ჩატარების მიზნით წვევამდელთა გამოცხადების შეტყობინებისთვის გაგზავნილ ყოველ უწყებას მიეცეს შესაბამისი ნომერი;
- უზრუნველყონ შესაბამის ორგანოებზე ყველა იმ საქმის გადაცემა, რომელიც მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით ექვემდებარება შემდგომ რეაგირებას.
- სამსახურმა მოაწესრიგოს და ყურადღება დაუთმოს მკაცრი აღრიცხვის ფორმების სწორად დაცვასა და აღრიცხვას. ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმების აღრიცხვა და რეგისტრაცია განახორციელოს „მკაცრი აღრიცხვის ფორმების ნუსხის, მკაცრი აღრიცხვის

ფორმების რეგისტრაციის წესისა და მკაცრი აღრიცხვის ფორმების რეგისტრაციის ჟურნალის ფორმის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2020 წლის 31 აგვისტოს N1-1/345 ბრძანებით განსაღვრული წესის შესაბამისად.

- მოხდეს სამსახურის რისკების იდენტიფიცირება და მათი მართვის ღონისძიებების დაგეგმვა. განისაზღვროს რისკები და დანერგონ კონტროლის ღონისძიებები, რათა გამოირიცხოს თანამშრომლების მხრიდან სამუშაოს არაკეთილსინდისიერი ან ვადების დარღვევით შესრულება;
- სამსახურმა აწარმოოს სრულყოფილი ელექტრონული საინფორმაციო ბაზები (რომელიც თანმდევია სამუშაო პროცესების მართვის), რომელიც მუდმივად განახლდება;
- სამსახურმა შეიმუშაოს დოკუმენტაციის შენახვისა და დაარქივების პოლიტიკა. სრულყოფილად მოხდეს დოკუმენტაციის აღრიცხვა, დაარქივება, დაცვა.
- მაქსიმალურად იქნეს დაცული პირადი საქმეები და სხვა მნიშვნელოვანი დოკუმენტაციის უსაფრთხოება.

მერის წარმომადგენელობა მეჯვრისხევის ტერიტორიულ ერთეულში

- გაიწეროს ყოველწლიური სამოქმედო გეგმა, სადაც დეტალურად გამოჩნდება მერიის დებულებით (მუხლი 11) და შრომითი ხელშეკრულებით განსაზღვრული ფუნქცია-მოვალეობის შესასრულებლად განსახორციელებელი ყველა საქმიანობა ადგილის, პერიოდის და განმახორციელებელი/შემსრულებელი პირის (პირების) მითითებით. სასურველია ანგარიშები მომზადდეს წერილობით და მიეთითოს სამუშაო პროცესის შემაფერხებელი რისკები და მათი გამოსწორების გზები, რაც ხელს შეუწყობს მომავალში, საქმიანობის ეფექტიანად წარმართვას.
- ერთიან ელექტრონულ დოკუმენტბრუნვის სისტემაში წარმომადგენლის მიერ წერილები იერარქიულად განაწილდეს სპეციალისტებს შორის შესაბამისი შესასრულებელი სამუშაოების მიხედვით.
- მოსახლეობასთან ჩატარებული შეხვედრებზე, ბიუჯეტის განხილვასა თუ სხვა საკითხებთან დაკავშირებით შედგეს შესაბამისი დოკუმენტი (ოქმი), რათა შესაძლებელი გახდეს ტერიტორიულ ერთეულში მცხოვრები ხალხის მოსაზრებისა და მიღებული გადაწყვეტილებების სისტემატიზაცია და დოკუმენტურად ასახვა. აღნიშნული ხელს შეუწყობ წარმომადგენლის საქმიანობის უკეთ განხორციელებას.
- წარმომადგენლობის მხრიდან მეტი ყურადღება დაეთმოს უნებართვო მშენებლობის გამოვლენის და დროულად რეაგირების საკითხს.

ა(ა)იპ-კეთილმოწყობის სააგენტო

- წლიურ სამუშაო გეგმაში აისახოს განყოფილების მიერ შესასრულებელი სამუშაოების დასახელება და პერიოდულობა.
- წლიური ანგარიშებში მიზანშეწონილია აისახოს დაგეგმილი სამუშაოს რა ნაწილი შესრულდა, რამდენად შედეგიანი იყო გაწეული საქმიანობა; გეგმის შეუსრულებლობის მიზეზები (ასეთის არსებობის შემთხვევაში).
- მოხდეს საშტატო ნუსხის გადახედვა, საკვალიფიკაციო მოთხოვნების შემუშავება, თანამშრომელთა იდენტური მოვალეობის შესრულებისას ხელფასები იყოს მიახლოვებული.

თუ რომელიმე სპეციალისტს მეტი პასუხისმგებლობა დაეკისრება, აღნიშნული დეტალურად გაიწეროს შრომით ხელშეკრულებაში,

- თანამშრომელთათვის დისციპლინური სასჯელის განსაზღვრისას, სააგენტოში არ დაუშვან შინაგანაწესით შემუშავებულ ნორმებთან გადაცდომები;
- მიღებულ კორესპოდენციაზე მოხდეს დროული რეაგირება, რათა მომავალში არ დაუშვან კანონით დადგენილი ვადების დარღვევა; აღნიშნული გაკონტროლდეს ხელმძღვანელი/პასუხისმგებელი პირის მიერ გარკვეული პერიოდულობით;
- წლიური ბიუჯეტის დაგეგმვისას გათვალისწინებული იქნეს საკუთარი შემოსავლებიდან დაგეგმილი სახსრები (ანგარიშზე არსებული ნაშთის ჩათვლით).
- ბიუჯეტის დაიგეგმოს იმგვარად, რომ არ გახდეს საჭირო ბიუჯეტის ხშირი ცვლილება.
- სააგენტოში დაწესდეს კონტროლი მომსახურების ხელშეკრულებებზე, ვადაგადაცილების შემთხვევაში გამოყენებული იქნას ხელშეკრულებით გათვალისწინებული სანქციები.
- გააქტიურდეს მუშაობა საკუთარი შემოსავლების ამოღების მხრივ დებიტორებთან.
- სააგენტოს მიერ უახლოეს მომავალში მოხდეს ჩამოწერილი ქონების რეალიზაცია.
- სანერგე განყოფილებაში შტატების რაციონალურად გამოყენების მიზნით, მენეჯერული რგოლის შემცირების ხარჯზე მოხდეს საჭირო კონტიგენტის შერჩევა.
- ნერგების აღრიცხვისათვის ორგანიზაციამ აწარმოოს შესაბამისი ჟურნალი; მოხდეს მწვანე ნარგავების ყოველწლიური ინვენტარიზაცია, მომზადდეს ტერიტორიის კარტოგრაფიული გეგმა, არსებული ნარგავებისა და შენობების აღნიშვნით, სანერგედან მწვანე ნარგავების გაცემაზე შედგეს შესაბამისი აქტი, ხე მცენარის სახეობის, რაოდენობის და დარგვის ლოკაციის მითითებით (პასუხისმგებელი პირების ხელმოწერით).
- განყოფილების ტერიტორიის უსაფრთხოების გაზრდის მიზნით, უზრუნველყონ არსებული სათვალთვალო კამერების გამართულობა (ოფისი აღიჭურვოს შესაბამისი ტექნიკით და ინტერნეტით).
- ორგანიზაციამ აწარმოოს საწვავის ხარჯვის და აღრიცხვასთან დაკავშირებული სრულყოფილი დოკუმენტაცია თითოეული სატრანსპორტო საშუალების მიხედვით. მიზანშეწონილია საბურავების გამოცვლასთან დაკავშირებით დაკონკრეტდეს საბურავის შეცვლის მიზეზი, სარემონტო სამუშაოების შედეგად გამოცვლილი და გამოსაყენებლად ვარგისი (ლითონის შემცველი და სხვა) ნაწილები მოქმედი წესით იქნეს აღებული შემოსავალში.
- დაწესებული იქნეს კონტროლი: 1. ავტოტრანსპორტის ტექნიკურად გამართულ მდგომარეობაზე; 2. სატრანსპორტო საშუალებებისთვის დამტკიცებული გრაფიკების შესრულებაზე, 3.განყოფილების მიერ თითოეულ შესრულებულ სარემოტო-საამშენებლო სამუშაოებზე.
- განყოფილებამ შესრულებული სამუშაოები აწარმოოს სათანადოდ შედგენილი დეფექტური აქტების საფუძველზე. შესრულებულ სამუშაოებზე გახარჯული მასალების ჩამოწერა განხორციელდეს მათი ფაქტობრივი ხარჯის შესაბამისად.
- განყოფილების მიერ დაცული და შესრულებული იქნას სააგენტოს მიერ ბრძანება #12. 2021 - 1832 სტრუქტურული ქვეგანაყოფებისთვის შემუშავებული დეფექტური და შესრულებული სამუშაოების აქტის ფორმების სწორად შევსებისა და გამოყენების წესი.
- სააგენტომ უზრუნველყოს ტერიტორიაზე არსებული დაზიანებული ნათურების აღრიცხვა, უსაფრთხო დასაწყობება და შემჭიდროვებულ ვადებში უტილიზაცია.
- საფლავების ქაოტურად განთავსების თავიდან აცილების მიზნით, განხორციელდეს სასაფლაოს დაგეგმარება, სექტორებად დაყოფა და დანომრა.

- მომზადდეს შესაბამისი წინადადება (წარედგინოს საკრებულო) რათა გაიზარდოს სასაფლაოს ტერიტორიაზე წინასწარ შესაძენი ფართობის მომსახურების ფასი.
- შეიქმნას ელექტრონული ბაზები, არსებული საფლავების, გაცემული საფლავების და გასაცემი ფართების შესახებ სრულყოფილი ინფორმაციის უზრუნველყოფის მიზნით;
- განყოფილების მხრიდან მეტი ყურადღება დაეთმოს ქალაქში არსებული სანიაღვრე არხების გაწმენდის სამუშაოებს.
- სააგენტომ სახელმწიფო შესყიდვების პროცესი წარმართოს ისე, რომ შესასყიდი საქონლის/ მომსახურების ტექნიკური მონაცემები იყოს სტანდარტებთან შესაბამისობაში. რაც არ გამოიწვევს ტენდერის შეწყვეტას და შესაბამისად მომსახურების დაგვიანებით მიღებას.
- სააგენტომ შესაბამისი ხელშეკრულებით განსაზღვროს საქონლის/მომსახურების მიღება - ჩაბარების წესი.
- მონიტორინგის განყოფილების მიერ შემუშავდეს მონიტორინგზე გასვლების გეგმა/გრაფიკი (შესამოწმებელი მიმართულებების გეგმა) ისე, რომ მთელი წლის განმავლობაში მოხდეს უწყვეტი მონიტორინგის პროცესი - სააგენტოს დებულებით, განყოფილებებისადმი დაკისრებული ფუნქცია-მოვალეობების უწყვეტი შემოწმება/კონტროლი, რაც ხელს შეუწყობს სამსახურის გამართულ და ეფექტიან მუშაობას;
- მონიტორინგის განყოფილებამ უზრუნველყოს კონტროლი სააგენტოს დირექტორის №.12.20211832 ბრძანებით სტრუქტურული ქვეგანაყოფებისთვის შემუშავებული დეფექტური და შესრულებული სამუშაოების აქტის ფორმების სრულყოფილად წარმოებაზე.

„კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-13 მუხლის მოთხოვნასთან მერიაში დასაქმებულ თანამშრომელთა მონაცემების შესაბამისობა

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ელექტრონული სერვისების ერთიან პორტალზე მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირების რეესტრში გორის მუნიციპალიტეტის მერიის საჯარო მოსამსახურეთა მონაცემების გადამოწმების შედეგად გამოვლინდა, რომ გორის მუნიციპალიტეტის ორ საჯარო მოხელეს ამავდროულად უკავია თანამდებობა კერძო სამართლის იურიდიულ პირში; თუმცა ორგანიზაციები დღეის მდგომარეობით ფაქტობრივად უფუნქციოა, მოხელეთა განმარტებით მათი არსებობის შესახებ არ ახსოვდათ, არ იღებენ არანაირ შემოსავალს და არ ასრულებენ აღნიშნულ ორგანიზაციებში არანაირ ფუნქციებს.
შეზღუდული პასუხისმგებლობის ორგანიზაციებში წილის მქონე საჯარო მოსამსახურეებთან ზეპირი/სატელეფონო კომუნიკაციის შედეგად გამოიკვეთა, რომ გორის მუნიციპალიტეტის მერიის 16 საჯარო მოსამსახურე არის სხვადასხვა შპს-ში წილის მფლობელი და კანონის შესაბამისად გაფორმებული აქვთ წილის მინდობის ხელშეკრულებები, რომელთა დედნებიც შემოწმების პერიოდში წარმოადგინეს აუდიტის სამსახურში.

საჯარო მოხელეებს, რომელთაც უკავიათ „კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული საჯარო მოხელისათვის შეუთავსებელი თანამდებობა, მიეცათ რეკომენდაცია დატოვონ საჯარო მოხელისათვის შეუთავსებელი თანამდებობები.

4 . გაცემული რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგი.

2023 წელს, შიდა აუდიტის სამსახურის წლიური გეგმის მიხედვით, აუდიტის ობიექტებში განხორციელდა აუდიტის შემოწმების შედეგად გაცემული რეკომენდაციების შესრულების მდგომარეობის მონიტორინგი. ეს ობიექტებია:

- ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის ფეხბურთის კლუბი „გორი";
- ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტის განვითარების სააგენტო;
- ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის სასმელი წყლის სისტემების, წყალარინების, მელიორაციის ჭაბურღილებისა და სატუმბო სადგურების სამსახური;

აღნიშნულ ობიექტებში განხორციელებული მონიტორინგი მიზნად ისახავდა გაცემული რეკომენდაციების შესრულების მდგომარეობის შესწავლას და ამ რეკომენდაციების შესრულებისათვის განხორციელებული ღონისძიებების, რეკომენდაციების შესრულების კუთხით მენეჯმენტის მიერ გატარებული ღონისძიებების ანალიზს.

მონიტორინგის მიზნების მისაღწევად გამოყენებული იქნა სხვადასხვა სახის აუდიტორული პროცედურები:

- აუდიტის ობიექტის მიერ მოწოდებული და ადგილზე მოპოვებული მტკიცებულებების შესწავლა და შეფასება
- პროცესებზე დაკვირვება
- მენეჯერთან და პროცესებთან დაკავშირებულ თანამშრომლებთან გასაუბრება;

შიდა აუდიტის სუბიექტის მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების მდგომარეობა ასახულია ცხრილში:

აუდიტის ობიექტი	გაცემული რეკომენდაციის რაოდენობა	რეკომენდაციების რაოდ-ბა, რომელთა მონიტორინგიც განხორციელდა	შესრულებული რეკომენდაციის რაოდენობა	ნაწილ. შესრულ. რეკომენდაციის რაოდენობა
ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის ფეხბურთის კლუბი „გორი";	15	15	12	3
ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტის განვითარების სააგენტო;	17	17	14	3
ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის სასმელი წყლის სისტემების, წყალარინების, მელიორაციის ჭაბურღილებისა და სატუმბო სადგურების სამსახური;	14	12	10	2
სულ:	46	44	36	8

როგორც ცხრილიდან ჩანს, აუდიტის ობიექტების მიერ გაცემული რეკომენდაციების 81% შესრულდა, ხოლო რეკომენდაციების 19%-ის შემთხვევაში დაწყებულია მუშაობა და ეტაპობრივად სრულდება;

4.1 დაწესებულებისათვის გაწეული სარგებელი.

შესრულებული რეკომენდაციები:

- აუდიტის ობიექტების მიერ მოწესრიგდა/ცვლილებები შევიდა წესდებასა და შრომის შინაგანაწესში;
- გაწერილია ორგანიზაციის სტრატეგიული მიმართულებები, წლიური გეგმები და მომზადებულია შესრულებული საქმიანობის ანგარიშები;
- აუდიტის ობიექტებში დანერგილია საქმისწარმოების და დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა, მენეჯერების მიერ ხდება ყველა სახის კორესპოდენციაზე ვადების დაცვის კონტროლი;
- თანამშრომელთა თანამდებობრივ ინსტრუქციებში ყველა პოზიციისთვის ჩამოყალიბებულია და გაწერილია ფუნქცია-მოვალეობები;
- 2024 წლის ბიუჯეტის დაგეგმვაში მონაწილეობას იღებს ყველა განყოფილება;
- აუდიტის ობიექტებში ხელმძღვანელის მიერ გამოცემული ბრძანების საფუძველზე ჩატარებულია ინვენტარიზაცია, მომზადებულია ინვენტარიზაციის შედეგების შესაბამისი აქტები;
- აღრიცხულია მატერიალური მარაგები მისი ღირებულების და რაოდენობების მითითებით. თანამშრომლებზე საქონლის გადაცემა ხდება მოთხოვნის მიხედვით მიღება-ჩაბარების აქტებით, შესაბამისი ხელმოწერების დაფიქსირებით. მოწესრიგებულია საცავის (ფასეულობის შესანახი) სივრცე;
- 2022 წლის მოგების დეკლარაცია წარდგენილია ვადებში, ყოველთვიური საშემოსავლოს და სხვა დეკლარაციების შევსება და გადაგზავნა ხდება ვადებში, სახელფასო უწყისებთან შესაბამისობაში;
- შედგენილია მონიტორინგზე გასვლების წლიური გეგმა/გრაფიკები; იწერება მონიტორინგის სამსახურის ანგარიშები;
- დაიხვეწა შიდა კონტროლის მექანიზმები, გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიშებს თანამშრომლები წარადგენენ სამსახურებრივი ინსტრუქციების მიხედვით;
- მომსახურეობა ან საქონლის მოწოდება და ანგარიშსწორება ხდება დადგენილი წესის შესაბამისად. ინტერესთა კონფლიქტი მიბმულია ხელშეკრულებაზე.
- მივლინების ბრძანებებს თან ერთვის სამსახურებრივი ბარათები მივლინების აუცილებლობის შესახებ; ფინანსური მენეჯერი ახდენს მსგავსი ფაქტების კონტროლს;
- თანამშრომელთა სამუშაო დროის აღრიცხვიანობა ხორციელდება დადგენილი წესის მიხედვით, შესაბამის ჟურნალში;
- საწვავის ხარჯვის აღრიცხვა წარმოებს საქართველოს ფინანსთა მინისტრის #230 ბრძანების შესაბამისად. საწვავის ხარჯვის დამადასტურებელი აქტებზე (საწვავის ყოველთვიური ხარჯვის ფურცელზე) დართულია შემსრულებელი თანამნშრომლების ხელმოწერები. დოკუმენტაციას დართული აქვს საწვავის ჩასხმის ყოველთვიური ამონაწერი; ყოველი თვის ბოლოს საწვავის ჩამოწერის აქტებში ფიქსირდება ავტომობილის ოდომეტრის ჩვენებები თვის დასაწყიში და თვის ბოლოსთვის, თვეში განვლილი მანძილი (კილომეტრი), თვის მანძილზე ჩასხმული და გახარჯული საწვავის რაოდენობა (ლიტრი), ასევე მარშრუტის დასახელება;

- მაქსიმალურად კონტროლდება საიჯარო თანხების ამოღება, ყოველთვიურად ხდება იჯარის ჩარიცხვა, მაქსიმუმ მომდევნო თვეშია ჩარიცხული ორი თვის იჯარა (3 თვით დაგვიანების ფაქტები აღარ დაფიქსირებულა);

ნაწილობრივ შესრულებული და მომავალ პერიოდში ეტაპობრივად შესასრულებელი რეკომენდაციები:

1. ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის სასმელი წყლის სისტემების, წყალარინების, მელიორაციის ჭაბურღილებისა და სატუმბო სადგურების სამსახურის მიერ 2024 წლის ბიუჯეტში გათვალისწინებულია თანხა შრომის უსაფრთხოების ინსპექტორის სერთიფიცირებისთვის.
2. ამავე სამსახურის ლაბორეტორია მოეწყო ოფისის შენობაში და დადგენილი გრაფიკით ხდება წყლის სინჯების შემოწმება; სამსახურის ლიცენზირების პროცედურა არ დაწყებულა;
3. მიმდინარეობს ლოკალური წყალსადენი სისტემების აღჭურვა საქლორატორო დანადგარებით; დღეის მდგომარეობით წყლის სისტემების 70%-ზეა მოწყობილი საქლორატორო და პროცესი გაგრძელდება სრულ აღჭურვამდე;
4. ტრანსპორტის განვითარების სააგენტოში მუშაობენ საკონსულტაციო ორგანიზაციები "EY" და "systra", რომელთა მიზანია ორგანიზაციის საქმიანობის ევროპულ სტანდარტებთან მიახლოვება. ეს ორგანიზაციები ანხორციელებენ კვლევას, რომლის შედეგად წარმოადგენენ რეკომედაციებს და დასკვნებს: კომპანია "systra" - ტექნიკურ საკითხში, კომპანია "EY" - გენდერულ და ორგანიზაციული მოწყობის ჭრილში; აღნიშნული დოკუმენტების (რეკომენდაციები, დასკვნები) წარმოდგენის შემდგომ, შესაძლებელი გახდება მათი განხორციელების გეგმის შედგენა;
5. ტრანსპორტის სააგენტოში საკვალიფიკაციო მოთხოვნები ამ ეტაპზე მხოლოდ მძღოლებისთვისაა შემუშავებული, სხვა პოზიციებისთვის არ აქვთ. ეტაპობრივად მიდინარეობს ტექნიკური პერსონალის გადამზადება;
6. ავტობუსების გაჩერებებზე საინფორმაციო დაფების განთავსების საკითხი განხილვებისა და განხორციელების სტადიაშია (კურატორ სამსახურთან და "სისიტრა"-ს ექსპერტებთან ერთად). ამ ეტაპზე ავტობუსებშია გამოკრული ინფორმაცია გაჩერებების შესახებ, მომავალი წლიდან იმუშავებს მომხმარებლისთვის sms-ით ინფორმაციის მიღების სისტემა, ასევე დაგეგმილია "საავტობუსო ჰაბის" შექმნა და შესაბამისად, მარშრუტების ნუმერაცია და მარკირება მოხდება "ჰაბის" ამუშავების მომენტისათვის. სავარაუდო ვადები გადაიწევს 2024 წლის მეორე ნახევარში
7. საფეხბურთო კლუბ „გორში“ საქმისწარმოების პროცესი კანონის შესაბამისობაში მოვიდა, გამოყოფილია კუთხე არქივისთვის, მაგრამ მასალები ჯერ არ აქვთ დაარქივებული, მომავალ წელს გეგმავენ არქივარიუსის მომსახურების შესყიდვას და დოკუმენტაციის კანონის შესაბამისად დაარქივებას.
8. საფეხბურთო სკოლის მომსახურება გახდა ფასიანი და დამატებითი შემოსავალი მიიღეს, თუმცა ეს თანხები არ არის საკმარისი დაწესებულების გაფართოებისთვის, მიმდინარეობს ზემოთაღნიშნულ საკითხზე მუშაობა - დონორების, დაფინანსების წყაროს მოძიება, რათა მოხდეს დაწესებულების გაფართოვება და სათანადოდ აღჭურვა, ინფრასტრუქტურის მოწესრიგება;
9. პრობლემების აღმოსაფხვრელად კლუბმა შექმნა შიდა მონიტირონგის სამსახური. დაინიშნა შიდა მონიტორინგის სამსახურის ოფიცერი, რომელიც უზრუნველყოფს ა(ა)იპის საქმიანობის

შიდა კონტროლს. რისკების მართვის გეგმა ამ ეტაპზე არ არის შემუშავებული, მიმდინარეობს ამ საკითხზე მუშაობა;

4.2 კვალიფიკაციის ასამაღლებელი ღონისძიებები.

საანგარიშო წლის განმავლობაში კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით შიდა აუდიტის სამსახურის თანამშრომელები ონლაინ რეჟიმში ესწრებოდნენ სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის დეპარტამენტის - ჰარმონიზაციის ცენტრი, ორგანიზებით ჩატარებულ ტრნინგებს და ვებინარებს.

5. წინადადებები შიდა აუდიტის სუბიექტის განვითარების შესახებ.

სამსახურის მიერ მოხდა 2023-26 წლების სტრატეგიული და 2024 წლის საქმიანობის გეგმების შემუშავება, რომელიც დამტკიცებული იქნა გორის მუნიციპალიტეტის მერის მიერ, ხოლო დამტკიცების შემდეგ გაიგზავნა „ჰარმონიზაციის ცენტრში". 2023 წლის ბოლოს მომზადდა გაწეული საქმიანობის წლიური ანგარიში.

სამსახურის მიერ ყოველ კვარტალურად ხორციელდებოდა გორის მუნიციპალიტეტის მერიის დაქვემდებარებაში არსებული ა(ა)იპ-ების შესახებ ინფორმაციისა და საკონტაქტო მონაცემების განახლება/შევსებას, რომლის მიზანი იყო სრულყოფილი, საინფორმაციო ბაზების არსებობა, მჭიდრო კონტაქტი მერიის დაქვემდებარებულ ა(ა)იპ-ებთან და საჭიროების შემთხვევაში, საკონსულტაციო მომსახურების გაწევა;

საანგარიშო წელს განხორციელდა მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული იურიდიული პირების მიმდინარე წლის წლიური გეგმების და წინა წელს კლასიფიკაციის შესაბამისი მუხლებით ფაქტიურად გაწეული ხარჯების შედარება/ანალიზი;

აუდიტორული საკონსულტაციო მომსახურება გაეწია, როგორც მერიის სამსახურებს, ასევე მერიის მიერ დაფუძნებულ იურიდიულ პირებს. საკონსულტაციო მომსახურეობის საკითხები ძირითადად შეეხებოდა ქონების განკარგვის, აღრიცხვა-ანგარიშგების, იურიდიულ და სხვა საკითხებს.

შიდა აუდიტის სამსახურის მიერ, გარე შეფასების აუდიტით გაცემული რეკომენდაციების შესასრულებლად, მოხდა შიდა აუდიტის სამსახურის დებულებაში ცვლილებების შეტანა: შიდა აუდიტორული საქმიანობიდან სრულად გაიმიჯნა ინსპექტირების და დისციპლინური წარმოების ფუნქცია, დაინერგა ეთიკის კოდექსთან შესაბამისობის დადასტურების პროცედურები, შემუშავდა და დამტკიცდა შიდა აუდიტის სამსახურის საქმისწარმოების წესი. მიმდინარე წლიდან შიდა აუდიტორული შემოწმება ხორციელდება საქმისწარმოების დამტკიცებული წესისა და სამუშაო ფორმების შესაბამისად.

გორის მუნიციპალიტეტის მერიის

შიდა აუდიტის სამსახურის უფროსი /მერაბ რაზმაძე/